საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/9

ქ.თბილისი

"08" თებერვალი 2017 წ.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე**

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, თანახმად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში "კომისია") აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძეს უფლებამოსილება, რათა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახელით ხელი მოაწეროს 2017 წლის 8-10 თებერვალს კომისიამი დასაქმებულთა და სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით დაგეგმილ შეხვედრებზე მიღწეულ მეთანხმებას (პროტოკოლს) ორ ქვეყანას მორის ციფრული სატელევიზიო ტერესტრიალური მაუწყებლობისათვის და FM რადიო მაუწყებლობისათვის განკუთვნილი სიხსშირული მინიჭებების/გამოყოფების კოორდინაციასთან დაკავშირებით;

2. დაევალოს ს. შავგულიძეს შეხვედრის ოქმის კომისიისთვის წარდგენა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.; №6) ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** ს. შავგულიძის მოხსენებითი ბარათი (08.02.17. მ-10/1215-17) კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით.

**კომისიის თავმჯდომარე** **ვ. აბაშიძე**